


შ.პ.ს. "რესტავრატორები და კომპანია"



ქ. თბილისში, ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების
წინასაპროექტო საკონკურსო წინადადება

პროექტის ხელმძღვანელი *გ. დიმიტრუ* ტ. კიპაროიძე



დირექტორი

ა. იაქაშვილი

თ. იაქაშვილი

თ ბ ი ლ ს ი 2 0 1 5

ქ. თბილისში ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო
სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
შედგენის მომსახურების შესყიდვის

კონკურსისათვის

ნარიყალას რეაბილიტაციის კონცეფცია

თბილისი 2015

აღბომის შემადგენლობა :

1. ნარიყალას რეაბილიტაციის კონცეფცია.
2. ნარიყალას რეაბილიტაციის კონცეფციის რეზიუმე.
3. სარეაბილიტაციო სამუშაოთა შინაარსი, სამუშაოთა პროგრამა და რეკომენდაციები.
4. ნარიყალას ციხის ნაგებობის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის პროგრამა.
5. საინჟინრო-კონსტრუქციული მდგომარეობა და რეკომენდაციები.
6. რეაბილიტაციის პროექტის ტექნოლოგიური ნაწილი.
7. ფოტომასალა.
8. იკონოგრაფიული მასალა.
9. ხარჯთაღრიცხვა.
10. გეგმა-გრაფიკი.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თბილისის ციხე, ხერთვისის კლდოვანი პლატოს ტერასებზეა აგებული. ციხის ციტადელი გამორჩეულია კედელ-ბურჯების მსხვილმასშტაბიანი მდგრადი ტექტონიკით და ქმნის მასის, ძალის და შეუვალობის შთაბეჭდილებას. ნარიყალა თბილისის ცხოველხატული, კულტურული ლანდშაფტის ორგანული ნაწილია და წარმოადგენს ქალაქმშენებლობის ძეგლს.



იარუსებად აგებული თბილისის ციხე სხვადასხვა დონის სამ ტერასაზე იყო განლაგებული.

პირველი ტერასა ეყრდნობოდა ციხეს, ხოლო მეორე და მესამე ტერასა ციტადელს, რომელიც თავის მხრივ გამაგრებული იყო მტკიცე კოშკით, რომელსაც ბატონიშვილი ვახუშტი სტამბოლის კოშკს უწოდებს. ტერასა წარმოადგენს აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულების (60X20 მ) წაგრძელებულ ბაქანს. აქ, სამხრეთ-აღმოსავლეთით კლდოვან ბეჭობზე აუგიათ წრიული გეგმის კოშკი (იხ. 1802 წ. თბილისის გეგმა, გვ.6), რომელიც გახლეჩილა და 70 მეტრის სიმაღლიდან

კლდოვანი ქარაფითურთ ჩაშლილა. რუსის ჯარს თბილისის ციხის კოშკებში განთავსებული ჰქონდა დენთი. ამიტომ არის ვარაუდი მისი აფეთქების შესახებ.



ამ კოშკის ნაშთი დღეს ციტადელში ყველაზე ავარიულია. მოსალოდნელი ჩამონგრევის გამო იგი პოტენციური კატასტროფის შემცველია. მისი გამაგრება გასული საუკუნის 30-იან წლებში ფოლადის ბაგირით უცდიათ(იხ. ფოტო). ამჟამად კოშკის გადარჩენას ერთობლივად ცდილობდა და ცდილობს კრწანისის რაიგამგეობა და ძეგლთა დაცვის სამსახური. მოწვეული გვეყავდა ცნობილი ალპინისტი ბ. გუჯაბიძე და მან შვეულ ქარაფზე, კოშკის ავარიული ნაშთის ირგვლივ ხარაჩოს მოწყობის გზები და საშუალებები გაგვაცნო. ალპინისტებთან ერთად, ჩვენ შესაძლებლად გვესახება კოშკზე პრევენციული ზომების მიღება,



შემდგომ აზომვა, ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა და გეოლოგიურ დასკვნაზე დაყრდნობით სარეაბილიტაციო პროექტის მომზადება. კოშკის ნაშთის გამაგრების შესახებ იდეის დონეზე რამდენიმე ვარიანტს ვფლობთ.

ციტადელი, ზოგადად უზრუნველყოფილი იყო სასმელი წყლით მომარაგების მთელი სისტემით. ერთი მათგანია წავეკისის წყალსადენის ტრასა. წავეკისიდან თიხის მილებით გამოყვანილი სასმელი წყალი გაივლიდა შაიტახტს, აკვედუკს,(იხ. ტურნეფორი) სტამბოლის კოშკს და ჩაედინებოდა ზედა ტერასაზე მოწყობილ რეზერვუარში. ტერასის არქეოლოგიური გათხრებით შესაძლებელია რეზერვუარის გამოვლენა და შემდგომ სათანადო რეაბილიტაცია.


მაღალი ციხის შემადგენელი ნაწილებიდან საპროექტო და პრაქტიკული სარესტავრაციო სამუშაოებია შესასრულებელი სტამბოლის კოშკზე, ჯერხანად იგი არქეოლოგიურ-არქიტექტურულად შესასწავლია. საჭიროა ტრანშეების და შურფების წარმოება. ამ სამუშაოებს წინ უნდა უსწრებდეს კოშკზე აღმართული ჯვრის გადასვენება. ანაზომებისა და ტექნიკურ-გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე შესრულდება სარეაბილიტაციო საპროექტო სამუშაოები სტამბოლის კოშკზე, ტერასის მომზდუდავ ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედელ-ბურჯებზე.

განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა სამხრეთის ზღუდის კედლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რადგან ფრიალო კლდოვან საძირკვლებზე მუშაობა

გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული.(იხ. ფოტო) აქ თავის დროზე უწყვეტი ზღუდის კედელი იყო აღმართული სტამბოლის კოშკიდან თავრიზის კოშკამდე. საჭიროა ფრაგმენტულად შემორჩენილი ზღუდის კედლების გამთლიანება,



რომელიც ვიზუალურ მთლიანობასთან ერთად განმტკიცდება კონსტრუქციულად.



კვლევითი მასალების საფუძველზე შესაძლებელია საკონსერვაციო შრის დამატება და თანამედროვე სინესტესაიზოლაციო ღონისძიების ჩატარება. ყოველივე ამას წინ უნდა უსწრებდეს საძირკვლების გეოლოგიური შესწავლა. გასული საუკუნის ბოლოს კედელ-ბურჯების ფუძეები რუხი ფერის ქვით გაურემონტებიათ. ფერითაც და ფორმითაც იგი არ შეესაბამება კედელ-ბურჯებს.(იხ. განაზომი და ფოტო) რუხი ფერის ქვის რემონტით შერყვნილია ქვა-აგურის წყობა ფერითაც და ფორმითაც; ქვის წყობა ორიგინალის საზღვრებს სცილდება და აშკარად უცხო დანამატის სახე აქვს. ვიზუალურად ადაბლებს ციტადელის ისედაც ჟამისაგან დადაბლებულ ბურჯებსა და კედლებს. საჭიროა დაეუბრუნოთ ციტადელის ამ მონაკვეთს ჩვეული ფერი და ფორმა, განვამტკიცოთ კონსტრუქციულად.



ატმოსფერული ნალექებით გამოწვეული სინესტე არსებითი დაზიანებების გამომწვევი მიზეზებია. კეთილმოწყობის პროექტში საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ზღუდეში სინესტის ზღვრული ნორმის სტაბილიზაციის გზები და საშუალებები, სახელდობრ, ვერტიკალური გეგმარების შესაბამისად წყლის მოცილება და ციხის კედლების ჰიდროიზოლაცია ციხესიმაგრის მთელ პერიმეტრზე

განსაკუთრებული კვლევის კვანძია აგურით ნაშენი დიდი ბურჯი, იგი მდებარეობს იქ, სადაც ერთმანეთს უერთდება სტამბოლის კოშკიდან მომავალი კედელ-ბურჯები და სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულების კედელი. ზოგიერთი მკვლევარი აქ ვარაუდობს ციტადელში შესასვლელს. ჯერჯერობით ამ აზრის განსამტკიცებლად




ხელმოსაჭიდი ნატურაში არაფერია დადასტურებული. მკვლევართა მოსაზრებას დაადასტურებს ან უარყოფს შურფებითა და ზონდაჟებით მიღებული შედეგები.

1802 წლის გეგმის მიხედვით განჯისკარიდან ციტადელში მოხვედრა ექვსი მეტრ-ნაკლებად გამაგრებული ბჭეების გადალახვის შემდეგ იყო შესაძლებელი. ერთ-ერთი მტკიცედ ჩამკეტი კარი ციტადელის ამ ზედა ტერასაზე იყო მოთავსებული ორმაგ კედელს შუა.(იხ. გეგმე) ამჟამად ამ ორმაგი კედლის, ანუ ხანის მხოლოდ მცირე კვალია მოჩანს. 1802 წელს შესრულებულ გეგმაზე გამოსახულია ორმაგი კედელი, ე.ი. ხანი და ბჭეც. რეაბილიტაციის პროექტში შესაძლებელია აღნიშნულის გათვალისწინება და ისტორიულად არსებული ორმაგი კედლის



ფრაგმენტულად მინიშნება. აღნიშნული კარიბჭიდან ქვემოთ ჩამოვლივართ პანდუსის

საშუალებით, დარჩენილია პანდუსის მარჯვენა მხარე ქვის წყობით. რომელიც განმტკიცებას მოითხოვს.



ერთადერთი სფერული კამარით ამოყვანილი ბურჯი ციტადელის ბურჯებს შორის ყველაზე მეტი მონაცემების შემცველი აღმოჩნდა. 1989 წელს, შურფის წარმოების შედეგად გამოვლინდა სარბენ ბილიკზე ასასვლელი კიბის საფეხურები, რომელიც კვადრატული აგურით (ზომები 21X21X4 სმ) იყო ამოყვანილი. ამ მნიშვნელოვანმა დეტალმა განსაზღვრა ბურჯისკენ ასასვლელი კიბის აღდგენა და შესაბამისად, ზემოთ სარბენი საბრძოლო ბილიკის მოწყობა. გამოჩენილ სპეციალისტებთან - პროფ. ვახტანგ ცინცაძესთან და პროფ. პარმენ ზაქარაიასთან აღნიშნული კუთხის კედლების და კოშკის ნაწილობრივი აღდგენის შესახებ მსჯელობამ, მიგვიყვანა გადაწყვეტილებამდე - ციხის მასშტაბის მისანიჭებლად ფრაგმენტალურად აღგვედგინა ციტადელის ეს ერთადერთი მონაკვეთი. (გვ. 8)



განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სამრეკლოდ გამოყენებული ბურჯის ტექნიკური მდგომარეობა. ზარების ბგერითმა რხევებმა დააზიანა ბურჯი, რაც გარეგნულად გამოხატულია საპირე წყობის დარღვევით. საჭიროდ ვთვლით, შესწავლილი იქნეს ბურჯის ფიზიკურ-მექანიკური მდგრადობა და პარალელურად დაეანქაროთ ახალი სამრეკლოს დაწყებული მშენებლობა ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით. რომელიც საზეიმოდ აკურთხა ნარიყალას წმ. ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარმა მამა გიორგი თერვდორაშვილმა. ნარიყალაზე ამასწინანდელი მეტად საჭირო ვიზიტის დროს თბილისის მერმა ბატონმა დავით ნარმანიამ მთელი კომპლექსის რეაბილიტაციის გადაუდებელ აუცილებლობასთან ერთად სამრეკლოს დაწყებული მშენებლობის დამთავრებაში დახმარება აღგვითქვა. პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა თბილისის ციხის კვლევითი და საპროექტო სამუშაოების მომზადებით. ვიმედოვნებთ ნარიყალადან მრევლის მოხმობის ზარები მალე დაირეკება სამრეკლოდან და არა ციხის ბურჯიდან, რომელიც სრულიად სხვა კონსტრუქციულ-ფუნქციური დატვირთვისათვის იყო აგებული.



განსაკუთრებული გამოკვლევა ესაჭიროება ქვედა ტერასაზე (70X70მ) აგებულ, ე.წ. ოთხკუთხა, უნიკალურად თლილი ქვიშაქვით ამოყვანილ კოშკის. გასახსნელია მისი კედლის სისქეში მოსალოდნელი შიდა კიბის უჯრედი და დასადგენია თუ როგორ გამოიყურებოდა კოშკის მარჯვნივ არსებული ზღუდე, რომელიც ამავე დროს სასახლის ჩრდილოეთის ფასადიც უნდა ყოფილიყო.(იხ. ფოტოები)

ციტადელის აღმოსავლეთის კედელ-ბურჯები, რომელიც იწყება ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან და მთავრდება ზემოთხსენებულ ოთხკუთხა კოშკთან შექმნილია მახვილი კუთხეებით, წახნაგებით, წიბოებით, წრიული ბურჯებით და ურთიერთთან მიმართებით ქმნიან გოფრირებულ, პლასტიკურ ზღუდეს. სინესტისაგან განსაკუთრებით დაზიანებულია ციტადელის აღმოსავლეთი მხარე, მომრავლებულია ლიქენები, ხავსები და მცენარეები.



ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან მდებარე კუთხის ბურჯი სხვადასხვა სამშენებლო ფენებით გამოირჩევა და წარმოადგენს ციტადელის ყველაზე მძლავრ, მაღალ ბურჯს. მისი სიმაღლე 30 მეტრს აღწევს და ერთმანეთზე შედგმულ, ორი წაკეთილი კონუსით შედგენილ მოცულობას წარმოადგენს. საშენ მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა და აგური შემაკავშირებელი კირის დუღაბით. წყობაში არქაული ხასიათის სამი ორნამენტული ფილა ჩაუდგამთ. ბურჯი სამხრეთისა და აღმოსავლეთის ზღუდეთა შემაკავშირებელი კვანძია. იგი მოწინააღმდეგისაგან ყველაზე მძლავრ დარტყმებს იღებდა, ამიტომაც მას მეტი სიმტკიცე ჰქონდა მინიჭებული და საცეცხლე კერას წარმოადგენდა.



აღსანიშნავია, რომ XIX ს-ის 60-იან წლებში ციხესიმაგრე დიდად დაზიანებული ყოფილა. XX ს-ის დამდეგს საპირე წყობები შეუესიათ. ბურჯის ზედა ნაწილი თავდაპირველად ღრუბანიანი ყოფილა. მცირე ზონდაჟმა გამოავლინა მასში ჩაყრილი გაჯი და ქვა. როგორც ჩანს, ძველი გეგმარების კოშკი საზარბაზნე კოშკად გადააკეთეს და ამგვარად მასზე მოაწყვეს ბაქანი პანდუსით. ამგვარი პანდუსიანი კოშკები დადასტურებულია საქართველოს ციხესიმაგრეებსა და ცალკეულ კოშკებში. ახალი საომარი ტექნიკის გამოჩენასთან ერთად, თბილისის ციხის კედელ-ბურჯების მოდერნიზაციაც მომხდარა. ციტადელზე ზარბაზნები გაჩნდა, ამას ისტორიული წყაროებიც ადასტურებენ.

გასული საუკუნის 80-იან წლებში, აღნიშნული კოშკი გამაგრებული და ნაწილობრივ რესტავრირებულია. ამჟამად საჭიროდ მიგვაჩნია გაჯითა და ღორღით ამოვსებული სივრცის გამოთავისუფლება, მისი შიდა ზედაპირების შესწავლა და კონსტრუქციული განმტკიცება.

აღსანიშნავია, რომ XIX ს-ის 60-იან წლებში ციხესიმაგრე დიდად დაზიანებული ყოფილა. მას ალა მაჰმად-ხანის მსახვრალი ხელი ატყვია. XX-ს-ის დამდეგს საპირე წყობები შეუესიათ და მოუწესრიგებიათ.(იხ. ფოტოები) აღმოსავლეთის კედელ-ბურჯების რეაბილიტაციის პირველი რიგის სამუშაოს

განეკუთვნება მოჭარბებული სინესტის გამომწვევი მიზეზების დადგენა და დაზიანებული წყობის განმტკიცება თანამედროვე ტექნოლოგიებით. ჭარბი სინესტის ლიკვიდაციის შემდეგ აღმოსავლეთის ფასადის მთელ ფართობზე საჭიროა შესრულდეს საპირე წყობის დელიკატური სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოები, ყველა ორიგინალური სამშენებლო ფენების შენარჩუნებით. ასევე სარესტავრაციო სამუშაოებს მოითხოვს კედელ-ბურჯების შიდა ზედაპირები "ციხის ინტერიერიდან". შესაძლოა, საკითხის დასმა სატრაპეზოს გადატანის შესახებ, რომელიც დროებით იყო მიდგმული აღმოსავლეთის კედელ-ბურჯებზე და ფარავს ძეგლის "ინტერიერის" საპირე წყობას. სატრაპეზო სრულად ვერ აკმაყოფილებს მრავალრიცხოვანი მრეგლის გაზრდილ მოთხოვნილებას. ასევე დროებითი სამეურნეო ნაგებობა ფარავს მეტად მნიშვნელოვან არქიტექტურულ ფრაგმენტებს. საჭიროა გამოვლინდეს დაფარული ღირებული სიძველენი, ეკლესიის სივრცის კი შესაბამისი სატრაპეზო და ოფისი აიგოს ეკლესიის სამხრეთით მდებარე მცირე ქვაბულში მცირე კედელ-ბურჯების მიღმა. (იხ. გვ.14)

ციტადელში მთავარი შესასვლელი, ე.წ. ოთხკუთხა კოშკიდანაა, ისე როგორც რუსთაველი ამბობს – "გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან". გვირაბს შემორჩა მცველთა ნიში და გვირაბის კამარის ქუსლები. კამარა ეყრდნობოდა გრძივ კედლებს, რომელთაგან ერთი წარმოადგენდა სასახლის კედელს, ხოლო მეორე, მის პარალელურად, სპეციალურად იყო ამოყვანილი.



გვირაბის მარჯვენა მხარეს სასახლის ნაშთია დარჩენილი, მარცხენა მხარეს კი წვრილ-წვრილი სხვადასხვა სამეურნეო, საპატიმრო და საბრძოლო დანიშნულების სათავსოთა ნაშთებია. დასასრულებულია კვლევა, როგორც დილეგის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისევე სასახლეში. ზონდაეებია შესასრულებელი ოთხკუთხა კოშკის ინტერიერში და ჭრელ კოშკზე.

განსაკუთრებული ზრუნვის საგანია სასახლე. შემოგვრჩა მისი სარდაფის სართული და ზედა სართულის, გვიანდელი სამხრეთ დასავლეთის კუთხე-სასახლე საჭიროა გათავისუფლდეს დროებითი ჩაშენებისაგან და იმ გვიანდელი დანამატებისაგან, რომელიც ძეგლს არ წარმოადგენს, დასასრულებელია არქეოლოგიური ციკლი. გამოსაკვლევაა კედლებისა და ფუძე-საძირკვლების ტექნიკური მახასიათებლები, შესადგენია კონსერვაციისა და განმტკიცების პროექტი. საჭიროდ მიგვაჩნია კონსერვირებული სასახლის ბაზაზე რეაბილიტაციის პროექტის შედგენა, ადაპტაციის საპროექტო წინადადებით.



თბილისის ციხეს ჰქონდა სამგზის წყლით მომარაგება: მტკვრიდან, დაბახანიდან და მდ. წაგვისიდან. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კერამიკული მილებით შემოდიოდა წყლის ნაკადი ზედა ციხეში, სტამბოლის კოშკის ტერასაზე და ივსებოდა წყლით იქ არსებული რეზერვუარი. აქედან კი წყალი ჩაედინებოდა ტაძრის მახლობლად, ჩრდილო-დასავლეთით მდებარე დიდ რეზერვუარში. ქვედა ტერასის ეს რეზერვუარი წარმოადგენს მიწაში ჩადგმულ ოთხკუთხა თაღოვან კამერას, ზომებით - 5.90X4.10 მ, სიმაღლით 3 მეტრი. რეზერვუარი შელესილია წყალმდევი, მტკიცე

მოწითალო ხსნარით. ჩანს, რომ წყალსადენის გაუქმების შემდეგ მას სხვა ფუნქცია ჰქონია, ამის დასტურია აღმოსავლეთის კედელში გათხრილი წყვილი ღიობი. ტექნიკური კვლევის შედეგების საფუძველზე, ვფიქრობთ, მის სრულ აღდგენას კამარით და გადახურვით.



ციტადელს გააჩნდა წვიმის წყლის მარაგისათვის აშენებული რეზერვუარიც. იგი მდებარეობს ტაძრიდან სამხრეთით ოციოდ მეტრში, სადაც გამოყენებულია უნიკალურად გათლილი ქვები. რეზერვუარი ორ კლდეს შუა ამოუყვანიათ რკალური გეგმით, რომელიც ივსებოდა ზედა ტერასიდან ნაჟური წვიმის წყლით. განზრახულია რეზერვუარის დაკონსერვება და ქვის სტრუქტურის გამაგრება.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია ე.წ. ქურა, რომელიც ძლიერ დაზიანებულია, მოითხოვს საგანგებო კვლევას და დაკონსერვებას.

ყურადღებას იმსახურებს სამეურნეო ნაგებობით დაფარული მცირე კედელ-ბურჯების ფრაგმენტი, რომლის საპირე წყობაც წარმოადგენს ქვა-აგურის მხატვრული წყობის შესანიშნავ ნიმუშს. იგი ისეთივე გასაფრთხილებელია, როგორც სხვა ძეგლი. ვფიქრობთ, მისი კონსერვაციით და მოწესრიგებით ერთ ჩინებულ ექსპონატს შევძენთ ციტადელს.



სპეციალური ზრუნვის საგანია ეზოში არსებული ორნამენტული ქვები.

1996-97 წლებში განვაახლეთ წმ.

ნიკოლოზის ტაძარი, როგორც მეტეხი-
ნარიყალას პანორამის და არქიტექტურული
გარემოს ერთი უმთავრესი ვერტიკალური
ელემენტი, რომელიც დანგრევამდე მრავალი
წელი თბილისის ხუროთმოძღვრულ-
ლანდშაფტური გარემოს ორგანული ნაწილი
იყო. 1997 წელს რესტავრაციის წარმატე-
ბული შედეგი აღნიშნა არქიტექტორთა
კავშირის სპეციალურმა ჟიურიმ და
კონკურსგარეშე განახლებული ტაძრის
არქიტექტურა დაასახელა წლის საუკეთესო
ნამუშევრად.



თუმცა, უნდა ითქვას, რომ, როგორც ყოველთვის, არასასურველია მშენებლობის
და მით უფრო რესტავრაციის პროცესის დაჩქარება. ამის გამო ტაძარზე

დაუსრულებელია: ორიგინალური ნაწილების ქვების გამაგრება, ნაკერების შევსება, ტაძრის დეკორატიული ელემენტების ექსპოზიციაში ჩართვა და გარემოს კეთილმოწყობა.

თბილისის ციხეს კეთილმოწყობის გენერალური პროექტი ესაჭიროება, რომლის დაგეგმარებაც უზრუნველყოფს ციხე-სიმაგრის მაქსიმალურად შემეცნებას და ციტადელიდან ქალაქის პანორამების აღქმას. თვით ციტადელი ხომ შესანიშნავად გილს წარმოადგენს თბილისის სივრცობრივი გარემოს აღსაქმნელად. ამიტომ, საჭიროა სხვადასხვა ნიშნულებზე მოეწიოს საგანგებო ბაქნები და ბილიკები, ზოგადად ინფრასტრუქტურა, რომელიც მოერგება ქალაქთმშენებლური არქიტექტურის ძეგლს და უზრუნველყოფს მის დაცვას საერთაშორისო სტანდარტებით.

თბილისის ციხის ისტორიის და არქიტექტურის დაცვისათვის აუცილებელია მისი ქვედა ციხის კედლების და ბურჯების ნაშთებისა და ნაკვალევის განმტკიცება და მონიშვნა, დაცვის რეჟიმული ზონის შექმნა, რომლის საზღვრებიც ქვედა ციხის ისტორიულ კედელ-ბურჯების ფრაგმენტებს და ნაკვალევს მიუყვება.

გრაფიკულ და ნატურულ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ფრაგმენტულად აღსადგენია ქვედა ციხის კედელ-ბურჯები, რომელთა ნაშთები დღემდე კვლავ ცოცხლობენ განაშენიანებაში.



სტამბოლის კოშკის სიახლოვეს, მესამე ბურჯიდან მტკვრისკენ დაღმა ეშვებოდა ზღუდე და აწინდელი ორპირის ქ.№25-ში მდებარე კოშკს უერთდებოდა. აქ

ბრუნდებოდა მართი კუთხით და კედელ-ბურჯებით განმტკიცებული ზღუდე მიემართებოდა აღმა, ქუჩის მიმართულებით და კლდოვან ქარაფზე მდგარ აგურის მძლავრ კოშკთან ქმნიდა ვიწრო ორმაგ კედელს, ხანს, კოშკის საიმედოდ დამცავ გრძელ კამერას. ამ კოშკიდან მიემართებოდა გლუვი კედელი ათიოდე მეტრში არსებულ ოთხკუთხა კოშკამდე, საიდანაც ციტადელის ზღუდესთან თანმხვედრ მიმართულებაში ზიგზაგი ქმნიდა განიერ, ორმაგ კედელს, გამაგრებულს ბჭეებით.

ამრიგად, სტამბოლის კოშკიდან მოკიდებული ნახევარკილომეტრიანი კედელ-ბურჯები მთავრდებოდა დღევანდელი ბოტანიკური ბაღის პარკინგის ტერიტორიაზე, იქ სადაც ახლა ციტადელში ასასვლელი კიბეების დასაწყისია.

ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზეა განჯისკარის დამცავი სამი კოშკი. სამსართულიანი კოშკი ზღუდით იყო დაკავშირებული თავრიზის კოშკთან. სამსართულიანი კოშკიდან ფრიალო კლდეზე ეშვება ზღუდის კედელი და უერთდება მეტად საინტერესო წრიულ კოშკს. ხუთი წლის წინ ამ კოშკზე შესრულებული სარესტავრაციო სამუშაოები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ეს არის ნიმუში იმისა, თუ როგორ არ უნდა შესრულდეს რესტავრაცია.

კოშკის სარდაფის სფერულ-გუმბათიანი კამერიდან გვირაბი მიემართება ციტადელში, ტაძრის მოედნისაკენ. რომელიც ჩვენს მიერ ნაწილობრივ იქნა გაწმენდილი ჩახერგილობისაგან. წრიული კოშკიდან ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან მდებარე კოშკამდე ზღუდის კედელი იყო გაჭიმული. აქ ბოტანიკური ბაღის ამჟამინდელი პარკინგის ტერიტორიაზე იყო მოედანი – გზასაყარი ქალაქში ჩასასვლელად და ციტადელში ასასვლელად. აქ იწყებოდა ხიდზე გადასვლით ე.წ. განჯის გზა - სამხრეთის ქვეყნების მიმართულებით.

ქვედა ციხის ჩვენი დასაზღვრა 1800 და მომდევნო წლებში შედგენილ რუკების მიხედვით ზედმიწევნით ზუსტად ხერხდება, მით უფრო, რომ ძეგლმა შემოგვინახა ზღუდის ფრაგმენტები. გეგმების და გრაფიკული გამოსახულებების შეჯერებამ განსაზღვრა კედელ-ბურჯების ფორმები და ზომები. ქვედა ციხის რეაბილიტაციის პირველი რიგის ამოცანაა განვამტკიცოთ ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები – ციტადელიდან დაღმავალ კლდეზე შემორჩენილი ზღუდის ნაკვალევი, ორპირის №25-ში მდებარე ციხის კედლის ფრაგმენტი, ციტადელისაკენ აღმავალი გზის მარჯვენა მხარეს მდებარე ზღუდე-ბურჯი, ბოტანიკურ ქუჩაზე მდებარე აგურის კოშკი და ციტადელის აღმოსავლეთ მხარეს, ორმაგი კედლით შექმნილი ზღუდის ნაშთები. ცალკე კვლევისა და ზრუნვის საგანია ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მდებარე კოშკები და ზღუდის კედლები, რომელთაც განჯის კარის დაცვაში და

ციტადელის ფორტიფიკაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

შემორჩენილი ფრაგმენტების ფიზიკურ-ქიმიური მანქანებლების შესწავლა, ანამნეზის მომზადება, გეოლოგიური დასკვნები, ატმოსფერული და ბუნებრივი ნორმალური და სტიქიური მოვლენების გათვალისწინება, საფუძველია რეაბილიტაციის პროექტის შექმნისათვის და შესაბამისად, არსებული ფრაგმენტების სიცოცხლისუნარიანობის გაზრდისათვის.



სამართლიანობა მოითხოვს აღვუდგინოთ თბილისის ციხეს შემოსხენებული ისტორიული საზღვრები, ისტორიული წითელი ხაზები, რომელიც ფაქტობრივად ძეგლის დაცვის ზონას შემოფარგლავს ვიზუალურად და ხელშესახებად სხვადასხვა სიმაღლით (ერთი მეტრის ფარგლებში) აღვადგინოთ ისტორიული სახე და კანონის მოხმობით შევანეროთ თბილისის ციხეზე მოძალებული ურბანიზაციით წარმოშობილი წამლექავი ძალა. თბილისის ციხე მრავალი საუკუნე გვიცავდა ჩვენ და მრავალ ხიფათს გადაგვარჩინა, ამიტომ მისი სამართალმემკვიდრენი მოვალენიც ვართ ურბანული ოკუპაციისაგან გადავარჩინოთ და შევინარჩუნოთ დიდად ეფექტური კულტურული ლანდშაფტი, არსებული განაშენიანების მასშტაბი და თბილისის ციხე ციტადელის გვირგვინით.

პროექტის ხელმძღვანელი

არქიტექტორ-რესტავრატორი

 ტარიელ კიპარიძე

2015 7 ივნისი.

ნარიყალას რეაბილიტაციის კონცეფცია

რეზიუმე

თბილისის საფორტიფიკაციო სისტემაში გამორჩეულია თბილისის ციხე, რომელიც სამ ტერასაზეა განლაგებული, ქვედა ტერასაზე ოდესღაც არსებული ზღუდე მორღვეულია და ფრაგმენტებიდა შემორჩა. ძველი ავტორები და კარტოგრაფები მას ქვედა ციხედ მოიხსენიებდნენ. იგი მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას ციტადელის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. ციტადელს ზღუდე ჰქონდა აწინდელი ბოტანიკური ბაღის მხრიდან, განჯის კარიდან, სამხრეთიდან.

თბილისის ციხის ციტადელი ორ ტერასაზეა აგებული, მესამე, სულ ზედა ტერასა, განმტკიცებულია ე.წ. სტამბოლის კოშკით, რომელიც გამოსაკვლევიან კვლევის შედეგები განსაზღვრავს რესტავრაციის მეთოდს, კოშკის დღევანდელ მონაცემთა უცვლელობის შემთხვევაში რეაბილიტაციაში კონსერვაცია მოიაზრება. ამ ტერასის შემომსაზღვრავი კედელ-ბურჯები ნამდვილად იმსახურებს კონსერვაციას და ვერც მოირგებს სხვა მეთოდს, რადგან ციხესიმაგრის მნიშვნელოვანი საბრძოლო ელემენტები ზედა ნაწილებში არსებობდა, ისინი განადგურებულია, ხოლო დღემდე მოპოვებული იკონოგრაფიული მასალა სარესტავრაციოდ ბევრს ვერაფერს იძლევა.

დიდი სამუშაოებია შესასრულებელი ზედა ტერასის სამხრეთის ზღუდეზე და ე.წ. თავრიზის კოშკზე, ეს უკანასკნელი პოტენციური კატასტროფის შემცველია. გვაქვს ამ კოშკის რეაბილიტაციის ვარიანტები. კოშკთან იყო მიბმული ორმაგი კედელი ბჭით, რომლის გეგმაც ზედმიწევნით ზუსტად არის დაცული 1802 წლის თბილისის გეგმაზე.

ციტადელის ამავე ტერასაზე მოსალოდნელია წყლის რეზერვუარის გამოვლენა და შესაბამისად საჭირო იქნება მისი რეაბილიტაცია.

ციტადელის პირველ, ფართო ტერასაზე ჩასვლა კიბეებით და პანდუსით ხერხდებოდა. პანდუსი კარგად არის შემორჩენილი, ოღონდ მცენარეებით არის შენიღბული. საჭიროდ მივიჩნევთ მის აღდგენას.

ციტადელში, რჩეულ ადგილზე აუცილებლად გუმბათიანი ტაძარი, რომელიც არქეოლოგიურად გამოვლინდა, შევისწავლეთ (დ.თუმანიშვილი, ი.ელიზბარაშვილი, ტ.კიპაროიძე) და როგორც ქალაქისათვის მნიშვნელოვანი კერტიკალური აქცენტი, უწმიდესის და უნეტარესის კურთხევით და ენთუზიასტთა შრომით მეორედ ავაშენეთ. დაჩქარებებმა მაინც თავისი გაიტანა, დღემდე შესასრულებელია ორიგინალური ნაწილების ქვის განმტკიცება და სხვა საკონსერვაციო სამუშაოები.

სასახლედ მიღებული ნაშთები მდებარეობს ტაძრის აღმოსავლეთით, შემორჩენილია მხოლოდ სარდაფის სართული, რომელიც თაღოვან-კამაროვანი ყოფილა, არმაზისებრ შუა საყრდენი ბურჯებით. საჭიროდ ვთვლით მის სრულ კონსერვაციას, და კონსერვირებულ ნაწილზე დამცავი შენობის აგებას, ისე რომ ძეგლის მხატვრულ-კონსტრუქციული ნაწილები აღიქმებოდეს როგორც შუასაუკუნეების მნიშვნელოვანი ნაშთი.

ციტადელში გვირავით შევდივართ, რომელსაც მნიშვნელოვანი ელემენტები აქვს შერჩენილი: საბჯენი კამარის ქუსლები, კამარის მალი, მცველთა ნიში, გრძივი კედლის ქვა-აგურის ტაძრისდროინდელი წყობა და სხვა, რაც მისი ნაწილობრივი აღდგენის საშუალებას გვაძლევს.

განსაკუთრებით დიდი მოცულობის დელიკატური სამუშაოებია შესასრულებელი ციტადელის მთელ პერიმეტრზე, მეტადრე აღმოსავლეთის კედელ-ბურჯებზე საპირე წყობით და განმამტკიცებელი კონსტრუქციით. გამოსაკვლევია ბოტანიკურ ბაღში, შესასვლელთან არსებული 30 მეტრიანი ბურჯი, რომლის რეაბილიტაციის პროექტს, გახსნის შედეგად მოპოვებული მასალა განსაზღვრავს. კონსერვაციას ითხოვს ნაჟური წყლის გეჯა და ქურა, სადილეგო და სამეურნეო დანიშნულების ობიექტები.

ციტადელში არსებითად მთლიანად შემორჩა ქვედა დიდი რეზერვუარი კამარით და იატაკით, კედლები მოლესილია წყალმედვი ხსნარით. სრული აღდგენის შემდეგ ადაპტაციის პროექტი განსაზღვრავს მის დანიშნულებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვედა ციხის საზღვრების აღდგენა ნატურულ და იკონოგრაფიული მასალების მომარჯვებით. ისინი ერთმანეთს ავსებენ და არ გამორიცხავენ. სტამბოლის კოშკის სიახლოვიდან დაწყებული კედელი, ნატურულ მონაცემებზე გავლით, ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან მთავრდებოდა. შემოზღუდული იყო ბოტანიკური ბაღის გარკვეული ტერიტორიაც, რომელიც ციტადელს სამხრეთიდან ეკვროდა და საიდუმლო გვირავით უკავშირდებოდა ზედა ციხეს.

ნატურაში ქვედა ციხის კედელ-ბურჯების ნაწილობრივი აღდგენით ურბანული ოკუპაციისაგან დავიცავთ ციტადელს და მის ოდესღაც შემოზღუდულ ფერდობებს. კანონით განმტკიცებული რეჟიმული ზონა ამის გარანტი იქნება.

არქიტექტორ-რესტავრატორი  ტარიელ კიპაროძე

2015 7 ივნისი.

თბილისის "ნარიყალის" რეაბილიტაციის შესახებ

თბილისის ძველი დედა-ციხე – "ნარიყალა" არა მარტო უდაოდ ღირსშესანიშნავი ძეგლია წარსულისა, არამედ დღესაც საქართველოს დედაქალაქის არქიტექტურული სახის ერთ-ერთი თანაგანმსაზღვრელიც – უმისოდ დღესაც ვერ წარმოიდგინება ჩვენი სატახტოს ისტორიული ნაწილი და, ალბათ, იგი უპირველესთაგანია, რაც ჩვენში სტუმრად ჩამოსულების მესხიერებაში აღიბეჭდება.

ვერ ვიტყვით, რომ "ნარიყალაზე" არავის უზრუნია - აქ გათხრებიც ჩაუტარებიათ, გამაგრებითი სამუშაოებიც, კედელ-ბურჯების და ცალკეული კოშკების რესტავრაციაც, ხოლო დედა-ციხის წმ. ნარიყალის ტაძარი აკი რეკონსტრუირებულიც არის. მაგრამ ეს ყოველივე ნაწილობრივია, ვერ მოიცავს ნაცხვარს მთლიანობაში, ვერ წყვეტს, დროებით მაინც მასთან დაკავშირებულ არცთუ მარტივ პრობლემებს.

ამ უკანასკნელთა ჩამონათვალი კი არცთუ მცირეა:

ა. ძეგლი არ არის სათანადოდ შესწავლილი. პირველ ყოვლისა, ძალზე შორსაა სისრულისაგან, არ ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა - არადა, ხომ ვიცით, რომ სადღაც, ძირში, ჩვენი ქალაქის ძველთუძველესი ნამყოს, სულ ცოტა, IV საუკუნის კვალიც იქნება. გადაუდებელია, ამიტომაც, "ნარიყალის" ბოლომდე გათხრა. ჯერ, რასაკვირველია, დახვეწვა უნდა ჩატარდეს. დღესდღეობით ეს საქმე გამარტივებულია, რაკი არსებობს (და ჩვენშიც მოიპოვება) ნიადაგის სკანირების საშუალება. მისი შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება გაირკვეს, სად უნდა გაიჭრას ჯერ საცდელი შურფები თუ თხრილები, ბოლოს კი თხრის თანმიმდევრობაც დაიგეგმოს და მისი მოცულობაც განისაზღვროს. თანადროულად - ოღონდ საბოლოოდ მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც არქეოლოგები მუშაობას დაამთავრებენ აუცილებელია არქიტექტურისმცოდნეობითი თუ ხელოვნებათმცოდნეობითი გამოკვლევა - გამოვლინდეს ფენები, მათი ურთიერთმიმართება, მათი ქრონოლოგია და ა.შ.

ბ. უკვე არქეოლოგიური თუ ხელოვნებათმცოდნეობითი შესწავლის ერთდროულად უნდა დაიწყოს გასამაგრებელ-აღდგენითი სამუშაოები. ცხადია, რომ მთელი სიგრძე-სიგანით გასაკეთებელი სამეცნიერო გახსნა-გაანალიზების მერედა გამოჩნდება, ოღონდ ბევრი რამ ახლაც ნათელია. მაგალითად, წყლის გადაყვანა კედელ-ბურჯების დაზიანებისგან უვნებელყოფა, გადაუდებელი სამუშაოები და მათი რიგითობა ახლავეა შესაძლებელი - მეტიც, წინასწარი შემტკიცების გარეშე გათხრები შეიძლება ადამიანისათვის სახიფათო აღმოჩნდეს, სიძველისთვის კი - დამლუპველ-გამანადგურებელი (იხ. "რეაბილიტაციის კონცეფცია"). ამას გარდა, წინდაწინვე უნდა შემუშავდეს სახელმძღვანელო პრინციპები, მოძიებული და მოსინჯულ იქნეს ახლებური მასალები და მათი გამოყენების ვარგისიანობა. რაღა თქმა უნდა, სრულად უნდა ჩატარდეს ტექნიკური კვლევა-ისტორიული მასალების (ქვის ჯიშები, აგური, ბათქაში - დუღაბები), გეოლოგიური ვითარების კონსტრუქციული მდგრადობის დაზიანებების, ცხადია, მთელ ციხეზე, ყველა მის ნაწილსა და მონაკვეთზე. ცხადია, არქეოლოგთა თუ არქიტექტურის ისტორიკოსთა მონაცემები ცალკეულ შესწორებასა თუ ცვლილებას გამოიწვევს, მაგრამ ფუძემდებელი საკითხების გადაწყვეტა ახლავე შეიძლება დაიწყოს.

გამოსაწესრიგებელია ფუნქციური მხარეც. მართალია, ციხის შიგნით მოქმედი ტაძარია, ის გარკვეულად ჩართულია ტურისტთა მომსახურებაშიც, მაგრამ ესეც საკმარისად ვერა და ვერ ჩაითვლება. "ნარიყალის" რაც მეტ ფართობს "ავამოქმედებთ", რაც უფრო მეტგან იქნება ყოველდღიური ხელის შეველება, მით

უფრო მოვლილი და - შესაბამისად! - სამოსავლოდ ცხოვრებაგაგრძელებული იქნება ძეგლი. უთუოა, რომ ვერც ეს გაკეთდება ცალმხრივად, რომელიმე ერთი, გინდაც ეკონომიკურ-კომერციული გათვლიდან თუ ვარაუდიდან გამომდინარე - მაგ, ტურისტთა (საზოგადოდ - დამთვალიერებელთა) ნაკადებმა არ უნდა შეაფერხონ წირვა-ლოცვა, არ უნდა შეუშალონ ხელი მლოცველებს; შემდგომ-ნებისმიერი ფუნქციონირება არ უნდა ემუქრებოდეს ძეგლს. თუნდაც მცირედი დაზიანებითა თუ ზარალით. სასურველია, მომსვლელთათვისაც გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა რიგის მომსახურება - თუნდაც არა მარტო ტურისტულ-სანახაობრივი, არამედ საგანმანათლებლო, თანაც სხვადასხვაგვარი განსხვავებული ასაკის ეროვნული წარმომავლობის, სოციულური წრისა ანდა ინტერესების მქონე ადამიანების მიდრეკილებების გათვალისწინებით.

დ. დასასრულ, ყოველივე ზემოთქმულის შედეგი და ძეგლის შემდგომი ხანგრძლივი არსებობის წინაპირობა მისი სწორად პრეზერვაცია - რაგინდ იყოს სწორად და კარგად ნაპატრონევი სიძველე განწირულია, თუ ის არ გახდა ადამიანთათვის საჭირო, ე.ი. მათთვის გასაგებიცა და მოსაწონიც, ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, არა იაფფასიან "რეკლამირებას" თუ ყალბ "გალამაზებას", არამედ ძეგლის ჭეშმარიტი მნიშვნელობისა და მშვენიერების წარმოჩენას, როგორც ცნობიერ ამოცანას, რომელმაც შეიძლება სავსებით მოულოდნელი ხერხების მოშველიება მოიტანოს. უპირველესად კი, აქედან უნდა ამოვიდოდეთ, როდესაც კი სიტყვა, მაგალითებრ, რომელიმე ნაწილის რესტავირებაზე ან, პირიქით, ხელუხლებლად დატოვება, ახალი ელემენტის შემოტანა ან, პირუკუ, რაიმე ჩარევაზე უარის თქმა და ა.შ.

აქ ჩამოწერილი მუხლები ბევრ არაფერ სიბრძნეს მოიცავს და სათქმელადაც იოლად გამოიყურება. მაგრამ ყოველი მათგანის განსახორციელებლად, კონკრეტული გათვალისწინებული დიდი შრომაც იქნება საჭირო და არც თუ მცირედი შემოქმედებითი ძალისხმევა. სამაგიეროდ, თუ ყოველივე ამას რაღაც დონეზე მაინც მოვახერხებთ, ბევრი რამ სასიკეთოდ შეიძლება "ნარიყალისთვისაც", ისტორიისთვისაც და, საზოგადოდ, კულტურული მემკვიდრეობისთვისაც.



დ. თუმანიშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი

ნარიყალას ციხის ნაგებობების საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის პროგრამა

პროგრამის შედგენას, წინ უძღოდა საკვლევ ტერიტორიაზე არსებული სიტუაციის წინასწარი ვიზუალური შეფასება.

კვლევითი სამუშაოების მიზანია ნარიყალას ციხის ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი საინჟინრო რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სასტაბილიზაციო ღონისძიებების პროექტის შედგენას. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, საჭირო იქნება შემდეგი სახისა და მოცულობის საინჟინრო-კვლევითი სამუშაოების შესრულება:

1. არსებული საარქივო და ლიტერატურული მასალების მოძიება და შესწავლა;
2. ნაგებობების რეკონსტრუქცია, პირველადი ვიზუალური კვლევა, დაზიანებების და დეფექტების გამოვლენა;
3. დაზიანებული ადგილების აზომვითი ნახაზების შედგენა, მათზე გამოვლენილი დაზიანებების დატანით (გეგმები, კვეთები, ზედაპირების განშლები);
4. დაზიანებული ფრაგმენტების ინსტრუმენტული კვლევა (წყობის მასალების სიმტკიცე, ბზარების გახსნილობის და სიღრმის, ჯდენების გაზომვა);
5. დაზიანებების გამოვლენის ადგილებში საძირკვლის და ფუძის გრუნტის კვლევა (საჭიროების შემთხვევაში შურფების ან განაწმენდების გაყვანა, საძირკვლის ზედაპირის გაშიშვლება, წყობის მასალის და დუღაბის სიმტკიცის დადგენა, გრუნტების ნიმუშების აღება და მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული გამოკვლევა);
6. ქანების გეოლოგიურ-ლითოლოგიური აგებულების და ნაპრალიანობის შესწავლა ტერიტორიის ფარგლებში ან მის მიმდებარედ არსებული კლდოვანი ნარჩენების მიხედვით;
7. ტერიტორიის ფარგლებში არსებული გეოდინამიური ვითარების შესწავლა და შეფასება;
8. ნარიყალას ციხის ტერიტორიის საინჟინრო-ჰიდროგეოლოგიური პირობების შეფასება;
9. ზედაპირული წყლების ევაკუაციის გზების შესწავლა;
10. კვლევების შედეგების განზოგადება და დაზიანებების მიზეზების დადგენა;
11. რეკომენდაციების შემუშავება.

საინჟინრო-კვლევითი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 9800 ლარს დღგ-ს ჩათვლით

შპს „ჯეოინჟინირინგის“
გენერალური დირექტორი



ლერი მიქაბერიძე

10. 06. 2015

ინჟინერ-კონსტრუქტორის რეკომენდაცია

ნარიყალას საინჟინრო-კონსტრუქციული მდგომარეობის შესახებ.

ნარიყალას კომპლექსი აგებულია სოლოლაკის ქედზე, ორი მდინარის შესართავთან. დროთა
ვითარებაში მრავაჯერ დაზიანდა და გადაკეთდა. ვიზუალური დათვალიერების შედეგად
გამოვლინდა შემდეგი:

მიწისძვრის შედეგად კომპლექსის კედელ-ბურჯები დაზიანებულია, განსაკუთრებით აღმოსავლეთ
ნაწილი. ზოგადად შესასწავლია საძირკვლები, საყრდენი კედლები, დულაბისა და ქვა-აგურის
წყობის მდგომარეობა. გალავანში შესასვლელი თაღის ნაწილი ჩამოშლილია საჭიროა მისი
სასწრაფოდ აღდგენა.

წვიმის წყლის შედეგად სველდება გალავნის კედლები, საჭიროა შესწავლა წყლის
წარმომავლობის და მისი მოცილების საშუალებების დადგენა, რათა დროთა განმავლობაში არ
ჩამოიშალოს ზღუდის კედლები.

კატასტროფულ მდგომარეობაშია ციხის ზედა, თავრიზის კოშკი, რომელიც დაშლილ-
გამოფიტულ კლდეზეა გადმოკიდებული და საფრთხეს უქმნის მიმდებარე გარემოს. საჭიროა
სასწრაფოდ მისი გამოკვლევა და პრევენციული ზომების მღება.

ფუძე-საძირკვლების გამოკვლევის მიზნით საჭიროა შურფებისა და ტრანშეებისა გათხრა
არქეოლოგის ზედამხედველობით.

შესწავლილი და გამოსაკვლევია წყლის რეზერვუარის და მეფის სასახლედ წოდებული
ნაგებობა, რომელიც თანდათან იშლება მოითხოვს სასწრაფო კონსერვირებას ან სხვა
ღონისძიებების მიღებას.

ნარიყალას დედაციხის მთელი კომპლექსის ტექნიკური მდგომარეობა არადაამაკაყოფილებელია
ზოგ ადგილებში კი კატასტროფულიც, აღდგენა-განმტკიცება აუცილებელია, სათანადო
მეცნიერული შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ.

მოსაზრებები ნარიყალას აღდგენა-გაძლიერების შესახებ

1. ციხის გალავნის კედლებსა და საძირკვლებს საჭიროა ავარიდოთ აგრესიული წყლები.
2. გახლეჩილი კოშკის შესასწავლად ჩვენი მოსაზრებით საჭიროა მოეწყოს კოშკის
ირგვლივ ხარაჩოები (ალპინისტების დახმარებით), რათა შესაძლებელ იყოს კლდისა და
კოშკის სათანადოდ გამოკვლევა. იმავე ხარაჩოებით შესაძლო იქნება პრაქტიკული
აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.
3. გალავნის დაზიანებული ნაწილის აღდგენა შესაძლოა კირის ხსნარით, მორყეული ქვების
ჩაშენებით, ხოლო კედელში არსებული ბზარებისა, ინექციებით შესაბამისი
შედგენილობის დულაბის ხსნარზე.
4. ზოგიერთი ძლიერ დაზიანებული კედლების შესანარჩუნებლად, შესაძლოა მოხდეს მისი
გადაწყობა.
5. გალავნის კედლებისა და კოშკის მდგრადობის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილად
მიგვაჩნია დაზიანებულ უბნებში, ახლად ასაშენებლ კედლებში, გამოყენებულ იქნა,
როგორც ტრადიციული ასევე პროგრესული თანამედროვე მასალები და კონსტრუქციები.

ინჟინერ-კონსტრუქტორი

ზურაბ ვახტანგაძე

10. 06. .2015 წელი

ქ.თბილისში ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო
სამუშაოების პროექტის ტექნოლოგიური ნაწილის შედგენისთვის

ნარიყალა თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში, მისი ფუნქციიდან გამომდინარე, მრავალჯერაა დაზიანებული და აღდგენილი. საშენ მასალად გამოყენებულია ძირითადად ქვიშაქვის კვადრები(თუმცა გვხვდება სხვა ჯიშის ქვებიც), გამომწვარი კერამიკული აგური და კირის საფუძველზე მომზადებული დულაბი.

ძეგლის ვიზუალური დათვალიერებით,მექანიკურის გარდა, იკვეთება მისი დაზიანების ძირითადი მიზეზები:

1. მცენარეთა დასახლება კედელ-ბურჯებზე და ნაგებობათა არსებულ ფრაგმენტებზე, რაც წარმოადგენს ბიოტური ეროზიის ძირითად მიზეზს.
2. სხვადასხვა ზომის ბზარების არსებობა, რაც აადვილებს წყლის მოხვედრას კედლების წყობაში, აქედან გამომდინარე შედეგებით.
3. არსებული წყობის ზედაპირების დასუსტება და გამოქარვა, რაც ზრდის წყობის ტენიანობის დონეს.
4. წყობის ნაკერებში დულაბის დასუსტება და გამოქარვა, რაც იწვევს წყობის მონოლითურობის შემცირებას, ქვასა და აგურზე წყლის მოქმედების გამძაფრებას და შესაბამისად მათი სიმტკიცის მნიშვნელოვნად შემცირებას.
5. ქვის კვადრებსა და აგურზე ატმოსფერული ზემოქმედებისა და მზის რადიაციის შედეგად ეროზირებული ფენის არსებობა და სხვა.

სარესტავრაციო სამუშაოების ხარისხიანად ჩატარებისა და ძეგლის ხანგამძლეობის გაზრდისათვის აუცილებელია:

1. სარესტავრაციო უბნებზე დაწვრილებით იქნას შესწავლილი დაზიანების სახეები. შედგეს დაზიანებათა რუკა, რომელიც იქნება სახელმძღვანელო შემდგომი კვლევებისა და აღდგენითი სამუშაოებისათვის;
2. მცენარეთა დასახლებების შესწავლის საფუძველზე შეირჩეს ბიოტური ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალებები.
3. დამუშავდეს ბზარების გამთლიანებისთვის საჭირო კომპოზიციები.
4. შეირჩეს ჰიდროფობური თვისებების მქონე მასალა ძველ წყობებზე საკონსერვაციო ფენის მოსაწყობად.
5. ძეგლზე გამოყენებული დულაბის შემადგენლობის გათვალისწინებით შეიქმნას ფერთა და ფაქტურით მიმსგავსებული ნაკერების ამოგოზვისათვის საჭირო მოდიფიცირებული ხსნარი.
6. შესწავლილ იქნას ძეგლზე ძირითადად გამოყენებული ქვების თვისებები (მინერალოგია, ფორიანობა, წყალშთანთქმა, წყლის და ორთქლის გამტარიანობა, ტენიანობა, სიმტკიცე, დარბილების კოეფიციენტი და სხვა) და ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეირჩეს ეფექტური საკონსერვაციო კომპოზიცია.

სამუშაოს მსვლელობის დროს შესაძლებელია მოხდეს არსებული ჩამონათვალის კორექტირება.

ინჟინერ-ტექნოლოგი

თ. იაქაშვილი

08.06.2015

ფოტომასალა



ნარიყალა, ხედი ჩრდილოეთიდან



ნარიყალა, აღმოსავლეთის კედელ-ბურჯები



ე.წ. თავრიზის გახლეჩილი კოშკი



ციტადელის აღდგენილი ფრაგმენტი



ხედი სტამბოლის კოშკის ტერასიდან



ციტადელის ჩრდილო-აღმოსავლეთის ოთხკუთხა კოშკი მიმდებარე კედელ-ბურჯებით



სტამბოლის კომუკი მიმდებარე სამხრეთის ზღუდით



სასახლის თალოვან-კამაროვანი სარდაფის ფრაგმენტი



ორსართულიანი და სამსართულიანი კოშკები, ხედი სამხრეთიდან



აღმოსავლეთის კედელ-ბურჯები



გვირაბისა და სასახლის კედელი



გვირაბისა და სასახლის საერთო კედელი გუმბაგის ნიშით



სამშენებლო ფენები ოთხკუთხა კოშკთან



ადრეფეოდალური V-VI სს. თაღედიანი კარნიზი



ლითონსადნობი ქურა

ნარიყალას ციხე-სიმაგრის იკონოგრაფიული მასალები


თბილისის ციხის შესახებ მდიდარი იკონოგრაფიული მასალა მოიპოვება, რომელიც გვიან ფეოდალურ პერიოდს და XIX ს. მიეკუთვნება. ასეთებია: ჟან შარდენის, ტურნეფორის, ბატონიშვილი ვახუშტის, არტემ არარატელის, ჩერნეცოვის, გაგარინის, ფრანკენის, ლერმონტოვის და სხვათა ხელიდან გამოსული გამოსახულებები, კარტოგრაფთა მიერ შედგენილი გეგმები, ერმაკოვის და როინიშვილის ფოტოები ძვირფასი მასალაა თბილისის ციხის, როგორც ზოგადი ისტორიული სახის წარმოსადგენად აგრეთვე კონკრეტული სარესტავრაციო საკითხების გასარკვევად.

სამწუხაროდ დღემდე შეუსწავლელია მეზობელი თურქეთის და ირანის არქივები სადაც უეჭველია დაცულია როგორც ცნობები თბილისის ციხის შესახებ აგრეთვე გრაფიკული დოკუმენტები, რომელიც გამოვლენის შემთხვევაში რესტავრაცია-რეაბილიტაციის მრავალ საკვანძო საკითხს გაარკვევს.

გთავაზობთ იკონოგრაფიული მასალის რამდენიმე ნიმუშს.




ბატონიშვილი ვახუშტი. თბილისი 1735 წ.



ჟან შარდენი. თბილისის პანორამა




ჟან შარდენი. ფრაგმენტი გრავიურიდა




ისტორიული გეგმების შედარებითი ანალიზი



ტურნეფორის გრავიურა



თბილისი 1800 წ. ფრაგმენტი



ჩუკო. 1800 წ.



არტემ არარატელი. ქვედა ციხის ფრაგმენტი



ნარიყალა 1860-იანი წლები



ნარიყალა 1860-იანი წლები


ნარიყალა

თიხურითა

სამხრეთ-აღმოსავლეთი ვახუჯი



ნარიყალა 1985 წ. კედელ-ბურჯების კონსერვაციის პროექტი





1998 წ. არქიტექტურული განაზომი ტაძრის განახლების შემდეგ, ხედი ჩრდილოეთიდან

Բաղնայան


ամրացման

նախնական և ժամանակակից






წმინდა ნიკოლოზის ტაძარი განახლებული აღმოსავლეთის ფასადი



0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 მ

მ-1:50 ქუთაისის ღვთაების შ.მ. ნიკოლოზის უძველესი განახლების პროექტი. საშ. ფასი



რეტროსპექტივა, შუასაუკუნეები



მეტეხი - ნარიყალას ტაძრების ხუროთმოძღვრული ანსამბლი



ქ. თბილისში, ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების კვლევითი და საპროექტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

#	სამუშაოების დასახელება	ღირებულება, ლარი
I ეტაპი		
1	ნარიყალას ციხის სახელოვნებათმცოდნეო და არქიტექტურული ინტეგრირებული კვლევა დასკვნა-რეკომენდაციით	6150.00
2	მაღალი რეზოლუციის სისტემატიზირებული ფოტომასალა	615.00
3	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა	5439.00
4	არქეოლოგიურად გამოვლენილი პალეოლოგრაფიული და არქიტექტურული დეტალების ფიქსაცია და გამოკვლევა	1757.00
5	სარეაბილიტაციო უბნებზე ძეგლის დესტრუქციის სახეების დადგენა, ეროდირებული და სადი მასალების თვისებების შედარებითი ანალიზი	3128.00
6	საინჟინრო-კონსტრუქციული დასკვნები და რეკომენდაციები	2196.00
7	არქეოლოგიური გათხრების რუკის შედგენა	2075.00
8	ლაზერული სკანირება	6150.00
9	შურფების დაზონდაჟების შესრულება, არქიტექტურულ-არქეოლოგიური შეფასებით	3954.00
	ჯამი	31464
	ზედნადები - 8%	2517
	ჯამი	33981
	მოგება - 8%	2718
	ჯამი	36700
	დღგ - 18%	6606
	I ეტაპის ჯამი	43306
II ეტაპი		
1	დაზიანებათა რუკის შედგენა. ძეგლზე გამოყენებული მასალების ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შერჩევა და რესტავრაციის პროცესისათვის სპეციალური მასალების ოპტიმალური შემადგენლობის დამუშავება	4375.00
2	სიტუაციური, ტოპოგრაფიული და გენერალური გეგმის დამუშავება	2196.00
3	სკანირებული მასალის AutoCAD ფორმატში გადატანა და ანაზომების გამოხაზვა	17572.00
4	ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და გადაუდებელი გამაგრებითი ღონისძიებების ესკიზური პროექტი	4393.00
5	ნარიყალას რეაბილიტაცია-რესტავრაციის მუშა პროექტი	19329.00
6	პროექტის სამშენებლო-კონსტრუქციული ნაწილი	3636.00
7	საინჟინრო კომუნიკაციების (ელ. გაყვანილობა, სანიაღვრე არხები, სადრენაჟო სისტემა) მოწყობის პროექტი	2636.00
8	ძეგლის ფიზიკური დაცვის ზონაში საკუთრების ფორმების და მათი გავრცელების საზღვრების დადგენა და რუკაზე დატანა	2196
9	ვერტიკალური გეგმარების პროექტი	3954.00
10	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი და კალენდარული გრაფიკი	1317.75
11	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა.	1317.75

ჯამი	62923
ზედნადები - 8%	5034
ჯამი	67956
მოგება - 8%	5437
ჯამი	73393
დღგ - 18%	13211
II ეტაპის ჯამი	86604
სულ I და II ეტაპების ჯამი	129909.0

შპს "რესტავრატორები და კომპანია"-ს დირექტორი

თამაზ იაქაშვილი



ნარიყალას ციხის რეაბილიტაციის კვლევითი და საპროექტო სამუშაოების

კალენდარული გრაფიკი

2015 წ.

სამუშაოს დასახელება		თვე				
		1	2	3	4	5
1	ნარიყალას ციხის სახელოვნებათმცოდნეო და არქიტექტურული ინტეგრირებული კვლევა დასკვნა-რეკომენდაციით					
2	მაღალი რეზოლუციის სისტემატიზირებული ფოტომასალა					
3	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა					
4	არქეოლოგიურად გამოვლენილი პალეოგრაფიული და არქიტექტურული დეტალების ფიქსაცია და გამოკვლევა					
5	სარეაბილიტაციო უბნებზე ძეგლის დესტრუქციის სახეების დადგენა, ეროდირებული და საღი მასალების თვისებების შედარებითი ანალიზი					
6	საინჟინრო-კონსტრუქციული დასკვნები და რეკომენდაციები					
7	არქეოლოგიური გათხრების რუკის შედგენა					
8	ლაზერული სკანირება					
9	შურფების დაზონდაჟების შესრულება, არქიტექტურულ-არქეოლოგიური შეფასებით					
10	დაზიანებათა რუკის შედგენა. ძეგლზე გამოყენებული მასალების ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შერჩევა და რესტავრაციის პროცესისათვის სპეციალური მასალების ოპტიმალური შემადგენლობის დამუშავება					
11	სიტუაციური, ტოპოგრაფიული და გენერალური გეგმის დამუშავება					
12	სკანირებული მასალის AutoCAD ფორმატში გადატანა და ანაზომების გამოხაზვა					
13	ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და გადაუდებელი გამაგრებითი ღონისძიებების ესკიზური პროექტი					
14	ნარიყალას რეაბილიტაცია-რესტავრაციის მუშა პროექტი					
15	პროექტის სამშენებლო-კონსტრუქციული ნაწილი					
16	საინჟინრო კომუნიკაციების (ელ. გაყვანილობა, სანიაღვრე არხები, სადრენაჟო სისტემა) მოწყობის პროექტი					
17	ძეგლის ფიზიკური დაცვის ზონაში საკუთრების ფორმების და მათი გავრცელების საზღვრების დადგენა და რუკაზე დატანა					
18	ვერტიკალური გეგმარების პროექტი					
19	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი და კალენდარული გრაფიკი					
20	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა.					

შპს "რესტავრატორები და კომპანია"-ს
დირექტორი

თამაზ იაქაშვილი



ინფორმაცია ძირითად მონაწილეთა კვალიფიკაციისა და
გამოცდილების შესახებ

(CV)

შპს “რესტავრატორები და კომპანია”-ს მიერ შესრულებული საპროექტო სამუშაოები

№	პროექტის დასახელება	დამკვეთი	დასრულების თარიღი
1	თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფასადის რესტავრაციის პროექტი	ასოციაცია “ატუ”	2006 წ.
2	სსიპ ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის სარეაბილიტაციო და ახალი შენობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება	საქართველოს კულტურის სამინისტრო	2007 წ.
3	აჭარის არქიტექტორთა კავშირის შემოქმედებითი სახლის ფასადის რესტავრაციის პროექტი	ბათუმის მერია	2007 წ.
4	ქ. თბილისში, ლადო ასათიანის ქ. № 27/17, № 25/20, № 25, № 23/23, № 50, № 48, № 46, № 44, № 42ა; ტაბიძის ქ. № 21 და № 22 შენობების გარე ფასადების კომპლექსური რეკონსტრუქცია- რესტავრაციის სამირკვლევბისა და მზიდი კონსტრუქციების გამაგრების, კომუნიკაციების: წყალსადენის, კანალიზაციის, სანიაღვრეს რეაბილიტაციის კომპლექსური პროექტის (მუშა/ესკიზური) მომზადება	ქ. თბილისის ძველი თბილისის გამგეობა	2007 წ.
5	სოფ. წინანდალში, ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის საპროექტო კვლევითი სამუშაოები	შპს “ამბრელა კონსალტინგი”	2008 წ.
6	ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი	სსიპ “საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო”	2008-2009 წწ.
7	ქ. თბილისში, ორბელიანის № 8 და № 10 სახლების რეაბილიტაციის პროექტი	ფ/პ “მარიამ ფაჯიშვილი”	2008 წ.
8	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის გარე ფასადის რესტავრაციის პროექტი	შპს “ქართუ მენეჯმენტი”	2009 წ.
9	ქ. თბილისში, ჯავახიშვილის № 6, ინგოროყვას № 14 და ქურდიანის № 17 შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტი	ქ. თბილისის ძველი თბილისის გამგეობა	2009 წ.
10	ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კორპუსის ფასადის (გუდიაშვილის ქუცის მხრიდან) რესტავრაციის პროექტი	შპს “ქართუ მენეჯმენტი”	2009 წ.
11	საფარის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრისა და სამრეკლოს მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი	სსიპ “საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო”	2013 წ.
12	ჩუკულის მთავარანგელოზის და ჩიხარშიის “ოქონის” (ლენტეხის მუნიციპალიტეტი) ეკლესიების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი	სსიპ “საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო”	2013 წ.
13	ვარძიის სამონასტრო კომპლექსის, ბერების სენაკების ესკიზური პროექტი	სსიპ “საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო”	2014 წ.

14	აკვანებას ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი	სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"	2014 წ.
----	--	--	---------



სსიპ "რესტავრატორები და კომპანია"-ს დირექტორი
თამაზ იაქაშვილი



ტარიელ კიპაროიძე

CV

პირადი ინფორმაცია:

დაბადების თარიღი: 01.02.1948 წ.
მისამართი: ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ. N13^ა, VI სართ. ბინა 10
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
საკონტაქტო ტელეფონი: 597 151674; 222 07 36
ელ. ფოსტა: k_ulumba@yahoo.com

განათლება - უმაღლესი

1970 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, არქიტექტორი;
1975 თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტორი -
რესტავრატორი;
1978 თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ასპირანტურა,
არქიტექტორის თეორია და ისტორია

სამუშაო გამოცდილება

1975 – 1986	სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს (შემდგომში ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო) არქიტექტურის რესტავრაციის საპროექტო განყოფილების გამგე;
1980 – 1999	ქ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტურის ძეგლების რესტავრაციის განყოფილების გამგე, დოცენტი;
2010	აშშ. „MEES MARBLE RESTORATION“ - მარმარილოს, გრანიტისა და ქვიშაქვის ნაკეთობათა რესტავრაცია-კონსერვაცია.

მნიშვნელოვანი პროექტები:

1976	ძველი თბილისის (კალას ციხე) რესტავრაციის პროექტი და რეალიზაცია;
1981 – 1997	ნარიყალას ციხე-სიმაგრის რესტავრაციის პროექტი და რეალიზაცია (ავტორი);
1990 – 1997	ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის გუმბათოვანი ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტი და რეალიზაცია (ავტორი);
1982 – 1988	სურამის ციხის რესტავრაციის პროექტი და რეალიზაცია (ავტორი);
1976 – 1992	თბილისის სიონის არქელოგიურ - არქიტექტურული კვლევა და პროექტები რეალიზაციით (ავტორი);
1989	ჩუღურეთში წმ. ნიკოლოზის ეკლესიის რესტავრაციის პროექტი და რეალიზაცია (ავტორი);
1980 – 1985	ნაბახტევის ტაძრის რესტავრაციის პროექტი და რეალიზაცია (ავტორი);
2007	აშშ, სამოქალაქო ომის გენერლის Mc COOK -ის გრანტის მემორიალური როტონდის რესტავრაცია (ავტორი და შემსრულებელი);
2008	აშშ, ROBERT Mc CLOSKEY MUSEUM, ვენერა მილოსელისა და მარკ ავრელიუსის მარმარილოს ქანდაკების კონსერვაცია (ავტორი და შემსრულებელი);
2009	აშშ, ქ.ჰამილტონი, F.H. GRIFF - ის მემორიალური ძეგლის რესტავრაცია (ავტორი და შემსრულებელი);

2012

ნარიყალას წმ. ნიკოლოზის ტაძრის სამრეკლოს პროექტი
(მშენებლობის პროცესი)

საერთაშორისო კონგრესების მონაწილე (გერმანია, რუსეთი)

პუბლიკაციები:

სტატიები დედაციხის რესტავრაციის შესახებ:

1. წმ. ნიკოლოზის ტაძრის გრაფიკული რეკონსტრუქციისათვის;
2. ძველი თბილისის საფიტიფიკაციო ძეგლის რესტავრაციისათვის;
3. მრავალფენიანი ფორტიფიკაციის რესტავრაცია;
4. დედაციხე ელის არქეოლოგს;
5. ზოგიერთი საკითხი თბილისის დედაციხის სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ;
6. მაღალს ციხეში არს ეკლესია.

საერთაშორისო კონგრესების მონაწილე (დრეზდენი, როსტოვი, პეტერბურგი).

ჯილდოები:

1997

წლის საუკეთესო არქიტექტურული ნაწარმოების ავტორი;

1985- 1989

სპეციალური დიპლომები ქართული კულტურის განვითარებაში
შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის;

1998

ღირსების ორდენი;

2009

Loveland Art Show Winners. იბილეთ Tariel kipardize

ენები და კომპიუტერული პროგრამები:

ქართული, რუსული, ინგლისური.

Excel;

Word;

AutoCAD.

დიმიტრი თუმანიშვილი CV

დაიბადა 25-III-1950

1968 წელს დაამთავრა ზ. ფალიაშვილის სახ. სპეციალური მუსიკალური სკოლა.

1973 წელს დაამთავრა თბილისის სახ. სამხატვრო აკადემია 2ს ხელოვნების ისტორიის და თეორიის სპეციალობით.

IX-1973-II. 1974 ცენტრალური სამეცნიერო-საწარმოო სარესტავრაციო სახელოსნოს თანამშრომელი.

II-1974-II. 1977 თბილისის სამხატვრო აკადემიის ასპირანტი.

1975-2005 წწ. – თბილისის სამხატვრო აკადემიის ლექტორი.

2005 წ-დან – დღემდე თბილისის სამხატვრო აკადემიის სრული პროფესორი.

1977 წ-დან დღემდე გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის (2006 წ-დან ქართული ხელოვნების ისტორია და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი) მეცნიერ თანამშრომელი [2001-2006 წწ-ში დირექტორის მოადგილე, 2008 წ-დან სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე]

1990 წ-დან დღემდე თბილისის სასულიერო აკადემიის მასწავლებელი.

1989-1994, 2002-2005 ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ მოწვეული ლექტორი.

1986-2004 წწ-ში საქართველოს ისტორიის კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სამეცნიერო მეთოდური საბჭოს წევრი.

2004-2009 წწ-ში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის მთავარი კომისიის წევრი.

2001 წ-დან დღემდე ჟურნალის “საქართველოს სიძველენი” რედკოლეგიის წევრი.

2010 წ-დან დღემდე ჟურნალის “Academia” რედკოლეგიის წევრი.

2013 წ-დან დღემდე ჟურნალის “მეცნიერება და კულტურა” რედკოლეგიის წევრი.

Curriculum Vitae

- სახელი:** ირინე
- გვარი:** ელიზბარაშვილი
- დაბადების თარიღი:** 18.10.1948
- დაბადების ადგილი:** ქ. თბილისი, საქართველო
- მისამართი:** ქ. თბილისი, 0102, მარჯანიშვილის ქ. 37
- ტელეფონი:** +(995 32) 95 64 42; 877502801
- ეროვნება:** ქართველი
- სქესი:** მდედრობითი
- განათლება:**
- 1968-1973 თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი
სპეციალობა: ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, დიპლომი
- 1964-1968 დ. არაყიშვილის სახ. თბილისის სამუსიკო სასწავლებელი
მუსიკის თეორიისა და ისტორიის ფაკულტეტი, სპეციალობა:
მუსიკათმცოდნე, დიპლომი
- 1957-1964 ი. ჭავჭავაძის სახ. 23-ე საშ. სკოლა, ატესტატი
- სამეცნიერო ხარისხი:**
- 1994 ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი
თემა: საქართველოს ორნამენტი ეკლესიები
- პროფესიული საქმიანობა:**
- 2004 – დღემდე ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის
რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიის
და თეორიის ფაკულტეტი,
, ას. პროფესორი
- 2005 ასოციაცია "საზოგადოება და კულტურული მემკვიდრეობა",

დამფუძნებელი

- 2004-დღემდე საქართველოს კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრი
- 1973-2004 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო, მთავარი სპეციალისტი
- 1999 ღია საზოგადოება - საქართველო კულტურული მემკვიდრეობის კომისია ნამდვილი წევრი
- 1997 ICOMOS ARSAH საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტი ნამდვილი წევრი
- 1995 ICOMOS International ნამდვილი წევრი
